საჯარო სამართლის იურიდიული პირი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

2014 – 2015 სასწ.წ.

ოქმი №24

2015 წლის 15 ივნისს შედგა აკადემიური საბჭოს სხდომა.

ესწრებოდნენ: ასოც. პროფ. ირმა შიოშვილი, ასოც. პროფ. გიული ანდრონიკაშვილი, ასოც. პროფ. მალხაზ ცირეკიძე, პროფ. ნინო მოდებაძე, ასოც. პროფ. ნანული ხიზანიშვილი, პროფ.როინ ჭიკაძე (აკადემიური საბჭოს მდივანი).

მოწვეულნი: იურიდიული სამსახურის უფროსი ჯუმბერ მაილაშვილი.

თავმჯდომარე- ასოც. პროფ. ირმა შიოშვილი

მდივანი - პროფ. როინ ჭიკაძე

დღისწესრიგი

1.თესაუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადების შესახებ (ასოც. პროფ. ირმა შიოშვილი).

1. **მოისმინეს:** თესაუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადების შესახებ (ასოც. პროფ.. ირმა შიოშვილი).

აღინიშნა: უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დააკმაყოფილა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პაატა გოცირიძის პირადი სურვილი თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 16 აპრილის დადგენილება #1 (ოქმი#10) აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2015 წლის 25 მაისიდან, გამომდინარე აღნიშნულიდან, აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურსს, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე.

დადგენილება

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების'' მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად, გამოცხადდეს კონკურსი, დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია და დამტკიცდეს ,,კონკურსის გამოცხადების და კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ'' განცხადების ტექსტი .
2. სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა არჩევნების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით ბრძანებით განსაზღვროს შესაბამისი საარჩევნო კომისია.
3. წინამდებარე დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საარჩევნო კომისიას დაევალოს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ არჩევნებთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება აკადემიური საბჭოს დავალებების შესაბამისად.
4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
5. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
6. დამტკიცდეს განცხადების ტექსტი სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადებისა და კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ:
7. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.
8. . წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.თელავი დავით აღმაშენებლის N 41).

განცხადების ტექსტი

1. გამოცხადდეს კონკურსი და დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად.
2. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

   ა) უმაღლესი განათლება (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);

   ბ) სამოქმედო გეგმისა და კონცეფციის წარმოდგენა.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2015 წლის 16 ივნისს 10:00 საათიდან და დასრულდეს 2015 წლის 22 ივნისს 17:00 საათზე. საბუთების მიღება იწარმოებს ყოველ დღე (შაბათ-კვირის ჩათვლით). მისამართი ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1 (პირველი სასწავლო კორპუსი მეორე სართული, ოთახი N 39).
4. აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატთა შემოსული განცხადებების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო დღედ განისაზღვროს 2015 წლის 25 ივნისი.
5. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

   ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);

   ბ) სამოქმედო გეგმა;

   გ) ავტობიოგრაფია;

   დ) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით ¾-ზე;

   ე) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ასოც. პროფ. ირმა შიოშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი პროფ.როინ ჭიკაძე